ოქმი:**ო03. 3722313001**

თარიღი:**09/11/2022**

# ოქმი № 22

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 4 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:**კომისიის წევრები: ლ.ბიგვავა, ბ.თოიძე, ე. გორდელაძე, მ. ვაშალომიძე, ბ. მელუა, ტ. აროშიძე, გ.შარაშენიძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

**მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი**

**თანამომხსენებელი პ. ჭყონია**

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, ვრცელი განმარტება გააკეთა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 32956,3 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 58,51%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 29595,38 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 48,22%-ია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ და აღნიშნეს, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი ხასიათდება სტაბილურობით. შესაბამისია, ხარჯების დინამიკაც, შემოსავლებისა და გადასახდელების ასეთი პროპორცია მუნიციპალიტეტის წლიური ფისკალური გეგმის წარმატებით შესრულების საფუძველს ქმნის. კომისიის წევრებმა

## გადაწყვიტეს:

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკითხი შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი